27/06/2024

MES 6 24 0000762181

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 13. 06. 2024
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 18:39 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: თამარ ლომინაძე
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **თამარ ლომინაძე -** სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. **გოჩა თუთბერიძე** - შპს ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე**;
3. **დავით ტეფნაძე -** შპს ,,საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" დოქტორანტი - **საბჭოს მდივანი;**
4. **გიორგი ღაღანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის დამფუძნებელი;
6. **ციური დურული -** სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
7. **თამარ ტუფინაშვილი** – შპს ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის აკადემიური განვითარების მიმართულების ხელმძღვანელი;
8. **ქეთევან ქუთათელაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
9. **დიმიტრი ჯაფარიძე** – სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი;

10. **ვასილ კიკუტაძე** - შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ბიზნესის და ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი;
11. **დიანა მჭედლიშვილი** – შპს კავკასიის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
12. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;
13. **ქეთევან ნანობაშვილი** – შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
14. **გიორგი მირიანაშვილი** – შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
15. **მაგდა ბოლოთაშვილი** – სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის გენერალური დირექტორის მოადგილე, დამსაქმებელი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

გიორგი ირემაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

თათია მამრიკიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

სოფიკო ქურასბედიანი- უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

ანა ჯუღელი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

1. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

1. ვახტანგ ჭარაია - რექტორის მოადგილე, ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანი
2. გიგი ყუფარაძე - ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი
3. მაკა ფირანაშვილი - ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელის მოადგილე
4. თამარ თავხელიძე - საერთაშორისო ინტეგრაციის ცენტრის ხელმძღვანელი

2. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

1. კახაბერ კორძაია - რექტორი
2. მარინა გედევანიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
3. ნანა პარინოსი - ინგლისური ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი
4. ალექსანდრე კალანდაძე - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
5. ეკატერინე არჩვაძე - პროფესორი
6. ეკატერინე ვაწაძე - პროფესორი
7. ციცინო ბუკია - პროფესორი
8. სალომე გოგბერაშვილი – პროფესორი

3. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1. ვლადიმერ ღლონტი - პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
2. ივდით დიასამიძე - ასოცირებული პროფესორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
3. ემზარ კახიძე - პროფესორი; სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის "შავიზღვისპირეთისა და კავკასიის ანტიკური არქეოლოგიის" ხელმძღვანელი;
4. ჯემალ კარალიძე - პროფესორი, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.
5. ნანა ხახუტაიშვილი - პროფესორი, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის "არქეოლოგია" და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის "ისტორია" ხელმძღვანელი.

აკრედიტაციის ექსპერტები

1. ეკა ლეკაშვილი (I საკითხი);
2. ეკა დევიძე (I საკითხი);
3. ნინო პატარაია (I საკითხი);
4. მარიამ გოგოლაძე (I საკითხი);
5. რევაზ ტაბატაძე (II საკითხი);
6. სოფიო თოთიბაძე (II საკითხი);
7. ნინო ქიმერიძე (II საკითხი);
8. ლიკა კვინჩია (II საკითხი);
9. მერაბ ჭუმბურიძე (III, IV , V საკითხი);

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ თამარ ლომინაძემ.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ინგლისური ენისა და ლიტერატურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "არქეოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის საკითხის განხილვა;

4. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "შავიზღვისპირეთისა და კავკასიის ანტიკური არქეოლოგიის" სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ისტორიის" სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ინგლისური ენისა და ლიტერატურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "არქეოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "შავიზღვისპირეთისა და კავკასიის ანტიკური არქეოლოგიის" სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ისტორიის" სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის საკითხის განხილვა;

პირველი საკითხი: შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადეს ვასილ კიკუტაძემ, გიორგი მირიანაშვილმა და ქეთევან ნანობაშვილმა.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭომ მხედველობაში მიიღო ინსტიტუციის შუამდგომლობა საბჭოს თარიღის გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად ცნობის შესახებ.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
საერთაშორისო ექსპერტი, მეთიუ კიჩინგი აკრედიტაციის საბჭოს სხდომას არ ესწრებოდა. მისი პოზიცია პროგრამასთან დაკავშირებით წერილის სახით აკრედიტაციის საბჭოს წევრებს გააცნო უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა თორნიკე ბაქაქურმა. მეთიუ კიჩინგიმ წერილში აღნიშნა, რომ თბილისსა და ბათუმში დაწესებულებაში ვიზიტი შედგა 2024 წლის აპრილის თვეში. ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა გამართა შეხვედრები ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და ა.შ. ჯგუფმა ასევე შეამოწმა მატერიალური რესურსები. მისი თქმით, დაწესებულება ღია და პროდუქტიული იყო პროცესში მათი ჩართულობის თვალსაზრისით. ექსპერტები აღფრთოვანებული იყვნენ იმ თვალსაჩინო და აშკარა პროგრესით, რომელიც მიღწეულია უნივერსიტეტის წინა აკრედიტაციის შემდეგ. დაიხვეწა პროგრამის შინაარსი და დაწესებულებამ გააუმჯობესა რიგი სილაბუსები. შესამჩნევია აგრეთვე გაწეული ძალისხმევა თანამშრომელთა კვლევითი პროდუქტიულობის ასამაღლებლად და კვლევის შედეგების გასავრცელებლად. მეთიუ კიჩინგიმ წერილში ხაზი გაუსვა იმას, რომ აუცილებელია ხარისხზე ფოკუსირების შენარჩუნება კვლევითი საქმიანობის წინსვლის კვალდაკვალ. წინ აკრედიტაციის დროს კომენტარების ნაწილი უკავშირდებოდა ასევე სტუდენტური გამოცდილების დადარებას თბილისსა და ბათუმის კამპუსებს შორის. უნივერსიტეტმა შეძლო ამ კუთხით პროგრესის დემონსტრირება კერძოდ, ბათუმის კამპუსში შესაბამისი პერსონალის შერჩევისა და დანიშვნის გზით. უნივერსიტეტის მისია ასახავს სამუშაო ბაზარზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას, რომლებიც აქტიურად უწყობენ ხელს თავიანთი ქვეყნის წარმატებულ მომავალს. მეთიუ კიჩინგიმ წერილში აღნიშნა, რომ პროგრამა თანხვედრაშია მისიასთან და ემსახურება მნიშვნელოვან საჭიროებას კვალიფიციური მუშახელის განვითარებასა და მომზადებაში, რათა დააკმაყოფილოს ტურიზმის პროფესიონალების მზარდი მოთხოვნა მთელი საქართველოს მასშტაბით. დაწესებულება აღნიშნავს, რომ პროგრამა ორიენტირებულია კურსდამთავრებულების განვითარებაზე, რომლებიც მზად არიან საერთაშორისო ტურისტული კარიერისათვის, თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა ამის ნაკლები მტკიცებულება აღმოაჩინა ხელახალი აკრედიტაციის პროცესში, რომელიც რჩევის საგანი გახდა დასკვნაში. ამრიგად, აკრედიტაციის პროცესი იყო პოზიტიური და პროგრამა თითქმის სრულად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანი, ვახტანგ ჭარაია მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, უნივერსიტეტი პროგრამის მიმართ გაცემულ ყველა რეკომენდაციასა და რჩევას იზიარებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს. მისი თქმით, ახალი დარგობრივი სტანდარტის მიხედვით „ბიზნეს ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამაში აუცილებელია „სტრატეგიული მენეჯმენტის“ სასწავლო კურსის არსებობა. აღნიშნულ პროგრამაზე ეს სასწავლო კურსი არ ისწავლება. მას აინტერესებდა, რატომ არ გაიცა რეკომენდაცია ან რჩევა „სტრატეგიული მენეჯმენტის“ სასწავლო კურსის პროგრამაში დამატების მიზნით. გიორგი ღაღანიძემ კითხვით მიმართ დაწესებულებას. მან განაცხადა, რომ უნივერსიტეტს კარგად აქვს გაკეთებული შრომის ბაზრის ანალიზი. მას აინტერესებდა, გაიჟღერა თუ არა კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუებისას ისეთმა ინფორმაციამ, რომ „ტურიზმის“ საბაკალავრო პროგრამა სამწლიანი გამხდარიყო. ბიუჯეტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ყველა პროგრამიდან ხდება თანხის აკუმულირება სარეზერვო ფონდში. ეს უკანასკნელი არის ე.წ. „უსაფრთხოების ბალიში“, რომელიც პროგრამის ფინანსურ პრობლემას აღმოფხვრის.

ექსპერტმა ეკა დევიძემ „სტრატეგიული მენეჯმენტის“ სასწავლო კურსთან დაკავშირებით განაცხადა, რომ პროგრამაში არსებული სასწავლო კურსები ნაკლებად მოიცავს ტურიზმის პოლიტიკას. „სტრატეგიული მენეჯმენტის“ სასწავლო კურსის შეთავაზება ხდება თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში იმიტომ, რომ დაწესებულებას აღნიშნული კურსი სხვა პროგრამებთან მიმართებაში აქვს. სტუდენტზეა დამოკიდებული მისი დამატებით სასწავლო კურსად არჩევა. პროგრამის ხელმძღვანელმა, გიგი ყუფარაძემ აღნიშნა, რომ „სტრატეგიული მენეჯმენტის“ სასწავლო კურსი ჩაშენებულია სხვადასხვა საგნებში. მაგალითად, „ტურიზმის მდგრადი განვითარების“ სასწავლო კურსში დეტალურად არის მოცემული სტრატეგიების სახეები, სტრატეგიული დაგეგმარების საკითხები, თავდაცვის სტრატეგიათა ინტეგრაცია და ა.შ.

ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანმა, ვახტანგ ჭარაიამ განაცხადა, რომ დაწესებულებამ უკვე დაიწყო სამწლიანი პროგრამების შემუშავება და წარადგინა სამწლიანი აკრედიტაციისთვის „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში“ კერძოდ, „მენეჯმენტის“, „მარკეტინგის“ და „ფინანსების“ პროგრამები. ახლო მომავალში იგეგმება 3 წლიანი „ტურიზმის“ საბაკალავრო პროგრამის შემუშავება. მისი თქმით, ის სარეზერვო ფონდი, რომელიც დაწესებულებას გააჩნია არის არა მხოლოდ გაუთვალისწინებელი ხარჯებისათვის, არამედ პროგრამის განვითარების საჭიროებისთვის.

საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაგანიძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, დასკვნაში ერთ-ერთი რჩევა შემდეგი სახით იყო მოცემული: „სასურველია, სასწავლო კურსებზე პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და მათზე რეაგირების წესების ჩართვა შესაბამის დოკუმენტში, როგორიცაა სტუდენტის სტატუსისა და სასწავლო პროცესის რეგულირება“. მას აინტერესებდა, პლაგიატთან ბრძოლის რა მექანიზმი აქვს დაწესებულებას. ნინო ჭალაგანიძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს. მან აღნიშნა, რომ დასკვნაში ერთ-ერთი რჩევა შემდეგი სახით იყო მოცემული: „ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაწესებულებამ მუდმივი მონიტორინგი უნდა განახორციელოს კვლევის შედეგების ხარისხზე, თანამშრომელთა კვლევითი საქმიანობის მოცულობის ზრდის გათვალისწინებით, რათა უზრუნველყოს მაღალი სტანდარტების დაცვა.“ მას აინტერესებდა, რის საფუძველზე გაიცა აღნიშნული რჩევა.

ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანმა, ვახტანგ ჭარაიამ განაცხადა, რომ დაწესებულებას წლებია აქვს „Turnitin”-ის პროგრამა პლაგიატზე რეაგირებისათვის. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პლაგიატთან ბრძოლის შესახებ შესაბამისი ტრენინგების ჩატარებას როგორც სტუდენტებისათვის, ისე პროფესორებისათვის. გარდა ამისა, ჩატარდა კვირეული და ფილმის ჩვენება პლაგიატის აღმოჩენასა და მასზე რეაგირებასთან დაკავშირებით. მისი თქმით, „Turnitin”-ის პროგრამაში შემოწმებას ექვემდებარება მხოლოდ სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომები. აღნიშნული საბაკალავრო პროგრამა არ ითვალისწინებს სტუდენტის მიერ ნაშრომის შესრულებას. ეს ყველაფერი დებულებაში წარმოდგენილია.

ექსპერტმა მარიამ გორგოძემ პლაგიატთან დაკავშირებულ რჩევასთან მიმართებით განაცხადა, რომ აღნიშნული რჩევა ემსახურებოდა რეგულაციების გაუმჯობესებას. პროცედურულად პლაგიატთან დაკავშირებული საკითხები გაწერილია სამეცნიერო კვლევის დებულებაში,

თუმცა ეს საკითხი უფრო ნათელი რომ იყოს, უმჯობესი იქნება თუ სასწავლო პროცესის დებულებაში ან სხვა დოკუმენტში იქნება მოცემული, რათა რელევანტური იყოს არა მხოლოდ სამეცნიერო კვლევის განხორციელებისთვის, ისე სამეცნიერო კონფერენციებისთვის.
ექსპერტმა ეკა დევიძემ აკადემიური პერსონალის მონიტორინგთან გაცემულ რჩევასთან მიმართებით აღნიშნა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მოვალეობაა ჩატარებული კვლევების შედეგების ხარისხზე ზრუნვა და როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალის საქმიანობის მოცულობის ზრდის უფრო მეტად წახალისება. საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, პროგრამის ბიუჯეტი მდგრადი და თვითკმარია, რაც მისასალმებელია. ბიუჯეტი ითვალისწინებს სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის დაფინანსებას. მას აინტერესებდა, აღნიშნული დაფინანსება სტუდენტის ზოგადი განვითარების პროექტის დაფინანსებას გულისხმობს თუ მათთვის კვლევითი უნარების განვითარებას და მხარდაჭერას.
ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანმა, ვახტანგ ჭარაიამ განაცხადა, რომ ყველა პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს კვლევით სამეცნიერო აქტივობების დაფინანსებას. უნივერსიტეტი აფინანსებს როგორც აკადემიური და მოწვეული პროფესორების, ისე სტუდენტების კვლევით სამეცნიერო აქტივობებს. პროგრამის ხელმძღვანელმა, გიგი ყუფარაძემ აღნიშნა, რომ სამმა პროფესორმა მოიპოვა გრანტი ჩატარებული კვლევის შედეგად. აღნიშნული კვლევა ეხებოდა იმას თუ როგორ ითვალისწინებენ ქართული შემომყვანი ტუროპერატორები არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის საკითხებს. რა თქმა უნდა, ჩატარებულ კვლევაში მონაწილეობას იღებდნენ სტუდენტებიც.
საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, უნდა ექვემდებარებოდეს თუ არა სტუდენტის მიერ მომზადებული სასემინარო მასალის „Turnitin”-ის პროგრამაში შემოწმებას. ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანმა, ვახტანგ ჭარაიამ განაცხადა, რომ შემოწმება შეიძლება დასაშვები იყოს მხოლოდ მსგავსების ნაწილში კერძოდ, რამდენად მსგავსია სტუდენტის მიერ მომზადებული ტექსტი ავტორის ტექსტთან, რომლის შემოწმების და დადარების უფლებამოსილება გააჩნია ლექტორს. თუ სტუდენტი გადაწყვეტს საკუთარი ნაშრომის წარდგენას სამეცნიერო კონფერენციაზე, მაშინ მოხდება მისი შემოწმება „Turnitin”-ის პროგრამაში. პლაგიატი დასაშვებია თუ ის არ აღემატება 12%-ს. თითოეულ პროცენტზე იწერება ხელმძღვანელის მიერ ახსნა-განმარტება. თუ დასაშვებ პროცენტს აღემატება პლაგიატი, ხელმძღვანელი აძლევს რეკომენდაციას, რომ დაიყვანოს დასაშვებ დონეზე. თუ სტუდენტი არ გაითვალისწინებს ამ რეკომენდაციას, მაშინ ნაშრომის განხილვა არ მოხდება კომისიაზე. ასევე შესაძლებელია აღნიშნული საკითხი ეთიკის კომისიამ განიხილოს და სტუდენტს პლაგიატის გამო შესაბამისი პასუხისმგებლობა დააკისროს.
საბჭოს წევრმა, გოჩა თუთბერიძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, აკადემიური პერსონალის წახალისების რა ფორმები არსებობს უნივერსიტეტში. გარდა ამისა, კვლევით ნაწილში რა მოეთხოვება აფილირებულ და არააფილირებულ პროფესორს.
ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანმა, ვახტანგ ჭარაიამ განაცხადა, რომ დაწესებულება პროფესორს აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ მიიღოს საგრანტო კონკურსებში მონაწილეობა. უნივერსიტეტმა როგორც აფილირებულ, ისე არააფილირებულ პროფესორებს ბოლო ერთი წლის განმავლობაში დაუფინანსა სტატიის გამოცემისათვის თანხა. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ რამდენიმე პროფესორი სტუდენტებთან ერთად უნივერსიტეტის დაფინანსებით იმყოფებოდა „სორბონის უნივერსიტეტში“, სადაც მონაწილეობა მიიღეს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ კონფერენციაში და წარადგინეს კვლევითი ნაშრომი შემდეგ საკითხზე - „საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება ტურიზმში.“ დაწესებულება ყოველწლიურად ატარებს საერთაშორისო ფორუმებს, რომლებშიც მონაწილეობას იღებენ როგორც პროფესორები, ისე დოქტორანტები. საერთაშორისო ფორუმზე წარდგენილი მასალა კი შემდეგ იბეჭდება შესაბამის ჟურნალში. ვახტანგ ჭარაიამ განაცხადა, რომ კვლევის დაფინანსების შემთხვევაში ხდება როგორც აფილირებული, ისე არააფილირებული პროფესორის დაფინანსება. თუ ეს არის გუნდური პროექტი, მაშინ გუნდის ხელმძღვანელი

უნდა იყოს აფილირებული პროფესორი, თუმცა თუ ეს არის ინდივიდუალური კვლევა, მაშინ მას არ მოეთხოვება იყოს აფილირებული პროფესორი.
საბჭოს წევრმა, ციური დურულმა კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, რა პრინციპით შეირჩია საუკეთესო პრაქტიკა.
ექსპერტმა ეკა დევიძემ განაცხადა, რომ ის საუკეთესო პრაქტიკა, რომელიც დასკვნაშია მოცემული საერთაშორისო ექსპერტმა გამოყო და ადგილობრივმა ექსპერტებმა სრულად გაიზიარეს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:58
დასრულების დრო: 15:07

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია და 1.4 კომპონენტთან მიმართებით დაამატა №5-ე და №6-ე რეკომენდაციები. აღნიშნულმა არ გამოიწვია არც კომპონენტის შეფასების და შესაბამისად, არც I სტანდარტის შეფასების ცვლილება.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით 2030 წლის 01 ივლისამდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუქნტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭოს კლასტერის ვადით (01/07/2030 წლამდე).

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის მიზნებში გამოიკვეთოს/აისახოს ინტერნაციონალიზაცია;
2. რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგებში აისახოს ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი, პროგრამის მიზნის შესაბამისად;
3. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგებში გამოიკვეთოს კვლევის/ების ინტერდისციპლინურობა;

4. რეკომენდებულია, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა აქტიური ჩართულობა, პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების პროცესში;
5. რეკომენდირებულია, კურსის „გეოინფორმაციული სისტემები ტურიზმში“ წინაპირობად განისაზღვროს „ინფორმაციული ტექნოლოგიები ტურიზმში“;
6. რეკომენდირებულია, სასწავლო კურსი „სტრატეგიული მენეჯმენტი“ დაემატოს სავალდებულო სასწავლო კურსების ჩამონათვალში;

რჩევები:

1. სასურველია, უზრუნველყოთ შესაბამისი ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიების ეფექტური განხორციელება, იმისათვის, რომ პროგრამის მიზნები, რომლებიც ორიენტირებულია კურსდამთავრებულთა საერთაშორისო კარიერულ განვითარებაზე, სრულად იყოს რეალიზებული.
2. შეიმუშავეთ ეფექტური სტრატეგიები სტუდენტების წახალისების მიზნით, განაგრძონ სწავლა შემდგომ საფეხურზე. ი შეამოწმეთ კურსდამთავრებულთა შედეგების მონაცემები ცალ–ცალკე ლოკაციების მიხედვით (თბილისი და ბათუმი), შედეგების ნებისმიერი ცვალებადობის დადგენის მიზნით.
3. სასურველია საგანმანათლებლო ლიტერატურას აკადემიური სტანდარტების მიხედვით მიუთითოთ გვერდების რაოდენობა, რათა შესაძლებელი იყოს შეფასდეს ასათვისებელი მასალის მოცულობის თავსებადობა გამოყოფილ დროსთან/კრედიტებთან.
4. გააუმჯობესეთ სტუდენტთა ჩართულობა და მოტივაციის დონე სამეცნიერო და კვლევით პროექტებში.
5. გაზარდეთ საერთაშორისო პარტნიორული აქტივობები, რაც გულისხმობს ცოდნის გაცვლის ინიციატივების წახალისებას და სტუდენტებისთვის დამატებითი შესაძლებლობების ქსელის შესაქმნას.
6. სასურველია, სასწავლო კურსებზე პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და მათზე რეაგირების წესების ჩართვა შესაბამის დოკუმენტში, როგორიცაა „სტუდენტის სტატუსისა და სასწავლო პროცესის რეგულირება“.
7. სასურველია, გრუნიმ გააგრძელოს სტუდენტებისთვის საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობების გაზრდა, გრძელვადიან სასწავლო გაცვლით პროგრამებზე განსაკუთრებული აქცენტით.
8. ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაწესებულებამ მუდმივი მონიტორინგი უნდა განახორციელოს კვლევის შედეგების ხარისხზე, თანამშრომელთა კვლევითი საქმიანობის მოცულობის ზრდის გათვალისწინებით, რათა უზრუნველყოს მაღალი სტანდარტების დაცვა.

მეორე საკითხი: შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ინგლისური ენისა და ლიტერატურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადეს ქეთევან ნანობაშვილმა და ნინო ჭალაგანიძემ.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

ცენტრმა დააყენა შუამდგომლობა პროგრამის ადმინისტრაციული წარმოების ვადების გათვალისწინებით, გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს საბჭოს ჩატარების დღეს.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
საერთაშორისო ექსპერტი, ნიჰადა დელიგებოვიჩი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ დასაქმების ბაზრის მოთხოვნილებები და საჭიროებები მეტწილად გათვალისწინებულია პროგრამაში. მისი თქმით, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ინგლისური ენისა და ლიტერატურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიასთან. ევროპის მასშტაბით მსგავს პროგრამებზე სწავლება მიმდინარეობს ინგლისურ ენაზე. შესაბამისად, ინტერნაციონალიზაციის გასაძლიერებლად მნიშვნელოვანია დაწესებულების მხრიდან უფრო მეტი ნაბიჯების გადადგმა. მან აღნიშნა, რომ პროგრამის მიერ გამიზნული სწავლის შედეგების მისაღწევად უნდა მოხდეს ძირითადი საგნების კრედიტების ხელახალი გადახედვა. ადეკვატური კავშირი, სწავლის შედეგები და სწავლა სწავლების მეთოდიკა სასწავლო კურსებში ნათლად არ არის ასახული. შეფასების ფორმები არის მხოლოდ ტრადიციული აღმწერი დოკუმენტებით წარმოდგენილი, რომლებიც სტანდარტიზებულია სხვადასხვა საგნებისთვის. აუცილებელია აღნიშნული შეფასების მეთოდები კონკრეტული საგნის საჭიროებებთან და სწავლის შედეგებთან იყოს დაკავშირებული . მაგალითად, კვლევის მეთოდიკაში, არქიტექტურისა და ა.შ. საგნებში უფრო ცხადი უნდა გახდეს შეფასების კრიტერიუმები. თუ შეფასების კრიტერიუმები არ იქნება გამჭვირვალე, მაშინ სწავლის შედეგების მიღწევა გართულდება. ნიჰადა დელიგებოვიჩმა აღნიშნა, რომ პერსონალის დატვირთვაში არ არის ასახული კვლევით სამეცნიერო აქტივობებში ჩართულობა. შესაბამისად, ეს უნდა იყოს ინკორპორირებული პერსონალის დატვირთვაში. გარდა ამისა, პერსონალი თავის პოზიციაზე უნდა იყოს დანიშნული შესაბამისი საჭირო კვალიფიკაციების გადამოწმების გათვალისწინებით.
ექსპერტმა რევაზ ტაბატაძემ აღნიშნა, რომ პროგრამის ხელმძღვანელს არ ჰქონდა აკადემიური ხარისხი სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურზე „ამერიკათმცოდნეობაში“, „ლინგვისტიკაში“ და „ფილოლოგიაში“. პროგრამაში აღწერილია რამდენიმე მნიშვნელოვანი საგანი კომპეტენციის მაფორმირებელი, რომლის ხელმძღვანელებსაც არ უდასტურდებოდათ შესაბამისი ხარისხი. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ის სტუდენტები, რომლებიც ჩაირიცხებიან აღნიშნულ პროგრამაზე უნდა ჩაუტარდეთ ტესტირება ინგლისურ ენაში და უნდა მოხდეს მათი გადანაწილება შესაბამის დონეებზე. ამ საკითხის უკეთესად შესწავლისთვის მოხდა აღნიშნული პროგრამის სხვა დაწესებულების მსგავს პროგრამებთან დადარება. ამის შედეგად გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტები ატარებენ ტესტს უცხო ენაში სტუდენტის შესაბამის დონეზე განაწილების მიზნით. მისი თქმით, კომპეტენციის მაფორმირებელ საგნებს კერძოდ, „ინგლისური

ფილოლოგიის შესავალს“ და „ლიტერატურათმცოდნეობის შესავალს“ და ა.შ. საგნებს არ აქვთ საკმარისი კრედიტების რაოდენობა, რაც პირდაპირ აისახება სააუდიტორიო საათებზე. “ენათმეცნიერების შესავალის“ სასწავლო კურსის შესწავლის საფუძველზე და ამ კურსის ლექტორთან ინტერვიუს შედეგად ვერ დადასტურდა აღნიშნულ კურსში მითითებული აქტივობების რელევანტურობა და საათობრივი დატვირთვა. მან აღნიშნა, რომ ერთ-ერთი რჩევა დასკვნაში მოცემული იყო შემდეგი სახით: „სასურველია, კურსების „ინგლისის ისტორია“ და „ბრიტანული და ამერიკული კულტურა“ სტატუსის შეცვლა და მათ არჩევით კურსებად გადაკვალიფიცირება“. არსებული კურსების არჩევითი კურსების ჩამონათვალში გადატანის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება კრედიტების რაოდენობის გათავისუფლება, რომელიც უნივერსიტეტს შესაძლებლობას მისცემს გათავისუფლებული კრედიტები დაამატოს კომპეტენციის მაფორმირებელ საგნებს. ერთ-ერთი რჩევა ეხებოდა არჩევითი კურსების ნაწილში მეორე ევროპული ენის დამატებას. პროგრამის ფარგლებში სტუდენტისთვის შეთავაზებულია მხოლოდ გერმანული ენა. შესაბამისად, სასურველია, დაწესებულებამ სტუდენტს შესთავაზოს საუნივერსიტეტო დონეზე მეორე ევროპულ ენაც. რევაზ ტაბატაძემ პროგრამაზე დაშვების წინაპირობასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულებას მითითებული აქვს ინგლისურ ენაში 25 ქულა. შესაბამისად, აუცილებელია გადაიხედოს პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, რადგან ინგლისურ ენაში 25 ქულა არის დაბალი. მისი თქმით, რეკომენდებულია პროგრამის გადახედვა (სასწავლო კურსების სირთულისა და წინაპირობების გათვალისწინებით) და საგნების სემესტრული განაწილების შეცვლა. არის შემთხვევები, როდესაც საგნების ლოგიკური თანმიმდევრობა სემესტრების მიხედვით დარღვეულია, რაც გარკვეულ სირთულეებს იწვევს როგორც ცალკეული საგნებისთვის საჭირო წინაპირობების, ისე შესაბამისი კომპეტენციების დაუფლების საკითხში. მაგალითად, სასწავლო კურსი - ინტეგრირებული ინგლისური ენის უნარები II (B1+) არის კურსის - "ინგლისური ენის ისტორია" წინაპირობა, ხოლო სახელმძღვანელოების უმეტესობა ინგლისურ ენაზეა.

ექსპერტმა სოფიო თოთიბაძემ აღნიშნა, რომ რეკომენდებულია თანახელმძღვანელის თანამდებობის გამოყოფა, რომელიც შეავსებს არსებულ ხელმძღვანელს. თანახელმძღვანელს უნდა ჰქონდეს კვალიფიკაცია და გამოცდილება, რომელიც მჭიდროდ შეესაბამება პროგრამის სფეროს. მისი თქმით, პროგრამის ხელმძღვანელმა მაგისტრის და დოქტორის ხარისხი დაიცვა ამერიკისმცოდნეობაში, და მისი საქმიანობის უმეტესი ნაწილი ამ სფეროზე იყო ორიენტირებული. ამერიკისმცოდნეობის მაგისტრის და დოქტორის ხარისხის მქონე პირი არ შეიძლება იყოს ინგლისური ფილოლოგიის ხელმძღვანელის თანამდებობაზე. სოფიო თოთიბაძემ განაცხადა, რომ ლექტორს, რომელსაც ჟურნალისტიკის მიმართულებით აქვს განათლება მიღებული, ის ვერ გაუძღვება „ბრიტანული და ამერიკული კულტურის“ სასწავლო კურსს. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში აღნიშნა, რომ ლექტორს რიდერი ჰქონდა გაკეთებული „ბრიტანული და ამერიკული კულტურის“ შესახებ, თუმცა სილაბუსში არ იყო მითითებული. მისი თქმით, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა ერთ-ერთი პირის გამოცდილება. პირი არის გამოცდილი მთარგმნელი, რომელსაც კარგი პრაქტიკული გამოცდილება აქვს, თუმცა თეორიული გამოცდილება მას არ უდასტურდება, კერძოდ, პუბლიკაციებით ან მაგისტრატურაში/დოქტორანტურაში მიღებული განათლებით. რეკომენდებულია, რომ სკოლებსა თუ სხვა დაწესებულებებში სწავლების გარდა, პროგრამაში გათვალისწინებული იყოს პრაქტიკის გავლის სხვა შესაძლებლობებიც. ინგლისური ფილოლოგია არ ამზადებს სტუდენტებს პედაგოგობისთვის. კურსდამთავრებულები შეიძლება გახდნენ მხოლოდ აკადემიური მკვლევრები, ენათმეცნიერები, ლიტერატურათმცოდნეები, მთარგმნელები ან ლექსიკოგრაფები. უფრო მეტიც, საქართველოს კანონმდებლობით, სწავლების უფლების მოსაპოვებლად აუცილებელია მასწავლებლის გადამზადების 60 კრედიტიანი პროგრამას გავლა, ხოლო ინგლისური ენისა და ლიტერატურის პროგრამა ამ უფლებას არ მოიცავს. ამიტომ, კურსდამთავრებულებს არ აქვთ კვალიფიკაცია, რომ ასწავლონ საჯარო სკოლებში ან სკოლამდელ დაწესებულებებში წინასწარი მომზადების გარეშე. ნებისმიერი დაბნეულობის თავიდან ასაცილებლად, სასურველია ხაზგასმით აღინიშნოს სხვა შესაძლებლობები და

გაფორმდეს ხელშეკრულებები პოტენციურ დამსაქმებლებთან, როგორიცაა ტურისტული სააგენტოები და მთარგმნელობითი ბიუროები.
სოფიო თოთიბაძემ აღნიშნა, რომ პროგრამაზე არჩევით საგნად ისწავლება „სწავლების მეთოდოლოგია“. თუ პრაქტიკა იქნება სავალდებულო, მაშინ „სწავლების მეთოდოლოგიაც“ უნდა გახდეს სავალდებულო, რადგან სტუდენტი, რომელიც მუშაობას დაიწყებს სკოლაში, მზად იყოს ამ პროცესისთვის. „ინგლისური ფილოლოგია“ არ გულისხმობს მასწავლებელს. მასში იგულისხმება ლინგვისტი, ლიტერატორი და მეცნიერი.
რევაზ ტაბატაძემ განაცხადა, რომ საგანი „კვლევის მეთოდები“ და „საბაკალავრო პროექტის არქიტექტურა“ შეიძლება დაიყოს ორ ცალკეულ კურსად. გარდა ამისა, კურსი „კვლევის მეთოდები“ უნდა გადაიხედოს და მოერგოს ინგლისური ენისა და ლიტერატურის კვლევის მეთოდოლოგიის საჭიროებებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, მარინა გედევანიშვილი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ დასკვნის პროექტში პირველი და მეორე რეკომენდაცია შემდეგი სახით იყო წარმოდგენილი: „რეკომენდებულია შრომის ბაზრის საჭიროებებისა და მოთხოვნების და შრომის საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებისა და საჭიროებების ღრმა და ყოვლისმომცველი შეფასება, რათა პროგრამის მიზნები მიღწევადი იყოს“, „რეკომენდებულია პროგრამის მიზნების გადახედვა და იმის უზრუნველყოფა, რომ შრომის ბაზრის საჭიროებები, მოთხოვნები და ტენდენციები, ასევე საერთაშორისო დასაქმების ბაზრის საჭიროებები იყოს დაკმაყოფილებული“. მისი თქმით, პირველი და მეორე რეკომენდაცია ერთი და იგივე შინაარსის მქონე რეკომენდაციებია. ექსპერტებმა გაითვალისწინეს უნივერსიტეტის ეს პოზიცია და მეორე რეკომენდაცია ამოღებული იქნა დასკვნიდან. მარინა გედევანიშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულების მიერ ყველა უნივერსიტეტის მსგავსი პროგრამის დასკვნების შესწავლისას, სადაც ექსპერტები იყვნენ ნიჰადა დელიგებოვიჩი და რევაზ ტაბატაძე, დაადგინა, რომ ექსპერტთა პასუხი იდენტურია ერთ-ერთი დაწესებულების მსგავს პროგრამაზე რეკომენდაციების შესახებ გაცემული პასუხებისა. მისი თქმით, დასკვნაში მეექვსე და მეთოთხმეტე რეკომენდაცია შემდეგი სახით იყო წარმოდგენილი: „რეკომენდებულია ინგლისური ენის ტესტის ჩატარება და სტუდენტების ჯგუფებში ინგლისური ენის ფლობის დონის შესაბამისად გადანაწილება“, „რეკომენდებულია, ეროვნულ გამოცდებზე ინგლისური ენის ცოდნის მინიმალური ზღვრის გაზრდა და ენის ცოდნის შეფასების საუნივერსიტეტო დონეზე განხორციელება, რათა სტუდენტები თავიანთი ცოდნისა და უნარების მიხედვით განთავსდნენ ინგლისური ენის ცოდნის შესაბამის დონეებზე“. მარინა გედევანიშვილმა განაცხადა, რომ მეექვსე და მეთოთხმეტე რეკომენდაცია ერთი და იგივე შინაარსის მქონე რეკომენდაციებია. ექსპერტებმა მეთოთხმეტე რეკომენდაციას შეუცვალეს ფორმულირება, რომელიც დასკვნაში შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: „რეკომენდებულია, ეროვნულ გამოცდებზე ინგლისური ენის ცოდნის მინიმალური ზღვრის გაზრდა“. მან აღნიშნა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით მეთორმეტე კლასის ბავშვები სკოლას ამთავრებენ ინგლისურ ენას B1 დონით. ეროვნული საგამოცდო ტესტები B1 დონისაა. შესაბამისად, ინგლისურ ენა B1 დონის 25 ქულიანისთვის და 90 ქულიანისთვის ერთია. უნივერსიტეტში წლებია დანერგილია აღნიშნული პროცესი კერძოდ, პირველკურსელები აბარებენ ტესტირებას იმის გათვალისწინებით, რომ სწორად მოხდეს მათი გადანაწილება ინგლისური ენის ჯგუფებში. მაგალითად, „მენეჯმენტის“ პროგრამაზე არის ორი ჯგუფი, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ინგლისურშიც ეს სტუდენტები პირველ და მეორე ჯგუფებში იქნებიან. შეიძლება ოთხი ჯგუფი იყოს გახსნილი სტუდენტების ინგლისური ენის დონის სიძლიერის მიხედვით. მარინა გედევანიშვილმა აღნიშნა, რომ გაუგებარია რატომ არ დაისვა კითხვები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მაშინ, როდესაც ექსპერტთა ჯგუფი დაწესებულებაში იმყოფებოდა. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ დაწესებულებამ არ წარმოადგინა

ტესტები. უნივერსიტეტს ევალებოდა არა ტესტების, არამედ თვითშეფასების ანგარიშით განსაზღვრული ყველა დანართის წარმოდგენა პროგრამასთან ერთად. იმ შემთხვევაში თუ ისინი მოითხოვდნენ ტესტების ნახვას, უნივერსიტეტი მზად იყო გაეზიარებინა მათთვის ტესტების ნიმუშები. მისი თქმით, დასკვნაში მესამე და მეცხრე რეკომენდაცია შემდეგი სახით იყო წარმოდგენილი: „რეკომენდებულია პროგრამის სასწავლო გეგმის გადახედვა და რიგ სილაბუსებში პროგრამის შინაარსისა და მოსალოდნელი შედეგების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა“, „რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების გადახედვა და მათი შესაბამისობაში მოყვანა პროგრამის ძირითად საგნებთან“. მისი თქმით, მესამე და მეცხრე რეკომენდაცია ერთი და იგივე შინაარსის მქონე რეკომენდაციებია. მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ექსპერტები სამ სასწავლო კურსზე მიუთითებდნენ კერძოდ, „შესავალი ლიტერატურათმცოდნეობაში“, „შესავალი ენათმეცნიერებაში“ და „შესავალი ინგლისურ ფილოლოგიაში“. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ არცერთი აღნიშნული საგანი არ მონაწილეობს სწავლის შედეგების განმტკიცებაში. მარინა გედევანიშვილის თქმით, დასკვნაში მეშვიდე და მეათე რეკომენდაცია შემდეგი სახით იყო წარმოდგენილი: „რეკომენდებულია პროგრამის გადახედვა (სასწავლო კურსების სირთულისა და წინაპირობების გათვალისწინებით) და საგნების სემესტრული განაწილების შეცვლა“, „რეკომენდებულია პროგრამისა და სასწავლო კურსების სტრუქტურის გადახედვა მათი წინაპირობების და სემესტრული განლაგების დაზუსტების მიზნით“. მისი თქმით, მეშვიდე და მეათე რეკომენდაციები ერთი და იგივე შინაარსის მქონე რეკომენდაციებია. ექსპერტთა ჯგუფმა მეშვიდე რეკომენდაცია რჩევაში გადაიტანა, თუმცა შინაარსობრივად იგივე რეკომენდაცია დატოვეს მეთხუთმეტე რეკომენდაციის სახით. დაწესებულებისთვის გაუგებარია, რომ თუ სამი რეკომენდაციიდან ორი რეკომენდაცია მოიხსნა, მაშინ 1.4 ქვესტანდარტის შეფასება რატომ დარჩა ნაწილობრივ შესაბამისობა და არა მეტწილად შესაბამისობაში სტანდარტთან. მან აღნიშნა, რომ დასკვნაში მეჩვიდმეტე რეკომენდაცია შემდეგი სახით იყო წარმოდგენილი: „საგანი „კვლევის მეთოდები და საბაკალავრო პროექტის არქიტექტურა“ შეიძლება დაიყოს ორ ცალკეულ კურსად. გარდა ამისა, კურსი „კვლევის მეთოდები“ უნდა გადაიხედოს და მოერგოს ინგლისური ენისა და ლიტერატურის კვლევის მეთოდოლოგიის საჭიროებებს“. დაწესებულებამ აღნიშნული რეკომენდაცია გაიზიარა, თუმცა მაინც დარჩა ის დასკვნაში. მეთორმეტე რეკომენდაცია დასკვნაში შემდეგი სახით იყო წარმოდგენილი: „რეკომენდებულია, გადაიხედოს სილაბუსი - „კვლევის მეთოდები და პროექტის არქიტექტურა“, შეიცვალოს მისი მიზანი და მასში შეიტანოთ ისეთი სახელმძღვანელოები, რომლებიც უშუალოდ ეხება ლინგვისტიკისა და ლიტერატურის კვლევის მეთოდებს“. მისი თქმით, მეთორმეტე რეკომენდაცია მსგავსია მეჩვიდმეტე რეკომენდაციის. მარინა გედევანიშვილის თქმით, დასკვნაში მეთვრამეტე და მეცამეტე რეკომენდაცია შემდეგი სახით იყო წარმოდგენილი: „რეკომენდებულია ზოგადად შეფასების სისტემის გადახედვა და სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით სწავლების მეთოდების ადაპტირება“, „რეკომენდებულია, კურსებისთვის სათანადო სწავლების მეთოდებისა და შეფასების ფორმების განსაზღვრა, ამ კურსების სპეციფიკის, სირთულისა და ტრანსფერულების შესაბამისად“. მისი თქმით, მეთვრამეტე და მეცამეტე რეკომენდაცია ერთი და იგივე შინაარსის მქონე რეკომენდაციებია. მან აღნიშნა, რომ ექსპერტები აღნიშნავენ, რომ შეფასების ფორმები შაბლონური ხასიათისაა და მოიცავს პრეზენტაციებს, შუალედურ და დასკვნით გამოცდებს. ეს არ არის ასე იმიტომ, რომ დაწესებულებას აქვს შემუშავებული სილაბუსის ფორმა, რომელშიც მოცემულია შეფასების კომპონენტები და შეფასების სისტემა. შეფასების კომპონენტებში ჩამოთვლილია რა კომპონენტებით ფასდება ამა თუ იმ სასწავლო კურსში სწავლის შედეგები. ესენია: „ყოველკვირეული შეფასებები“, „საშინაო დავალებები“, „რეფერატები“ და „პროექტების პრეზენტაციები“. შეფასების კომპონენტებს მოჰყვება შეფასების სისტემა, რომელშიც აბსოლუტურად დეტალურად არის მითითებული როგორ ფასდება სტუდენტი. მერვე რეკომენდაცია დასკვნაში შემდეგი სახით იყო წარმოდგენილი: „რეკომენდებულია კურსების დახარისხება დარგების მიხედვით“. მისი თქმით, არჩევითი და სავალდებულო საგნები

მოდულებად დალაგებულია, თუმცა გაუგებარია ექსპერტები რას გულისხმობენ საკონტაქტო საათების რაოდენობისა და კრედიტების მიხედვით სასწავლო კურსების პროგრამაში დალაგებაში. „რეკომენდებულია სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების სეგმენტის სხვა ევროპული ენებით გამდიდრება“. მან აღნიშნა, რომ პროგრამის ფარგლებში საუნივერსიტეტო არჩევით საგნებად არის ესპანური ენა და პოლონური ენა ორ სემესტრად. თავისუფალი კრედიტის მოპოვება სტუდენტს შეუძლია ნებისმიერი იმ საბაკალავრო პროგრამიდან, რომელიც მოქმედებს და ფუნქციონირებს უნივერსიტეტში. „საერთაშორისო ურთიერთობის“ და „ტურიზმის“ პროგრამაზე არის ფრანგული, რუსული და სპარსული ენები. შესაბამისად, ამ მხრივ სტუდენტს პრობლემა არ ექმნება. ექსპერტები მეცხრამეტე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნავენ, რომ უნივერსიტეტმა დანერგა და გაასაჯაროვა პლაგიატის გამოვლენასთან და რეაგირებასთან დაკავშირებული პროცედურები, ასევე ჩაატარა რამდენიმე ტრენინგი აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით. თუმცა, წინა წლებში ამ დოკუმენტების გამოქვეყნება და ერთჯერადად ტრენინგის ჩატარება არ იძლევა იმის გარანტიას, რომ სტუდენტები საკმარის ინფორმაციას ფლობენ ამ საკითხის შესახებ. უნივერსიტეტისთვის გაუგებარია როგორ დაადგინეს ექსპერტებმა ის, რომ წინა წლებში აღნიშნული დოკუმენტების გამოქვეყნება და ერთჯერადად ტრენინგის ჩატარება არ იძლეოდა იმის გარანტიას, რომ სტუდენტები საკმარის ინფორმაციას ფლობდნენ ამ საკითხის შესახებ. შეიძლება წესი შემუშავებული იყოს 4 - 5 წლის წინ, მაგრამ მასში ცვლილებები ეტაპობრივად ხორციელდებოდეს. იმ სტუდენტებს, რომლებთანაც ამ საკითხთან დაკავშირებით მოხდა გასაუბრება, არ ეცოდინებოდათ პლაგიატის მექანიზმებთან დაკავშირების შესახებ ინფორმაცია იმიტომ, რომ მათ როდესაც დაამთავრეს პროგრამა, საბაკალავრო ნაშრომის შესრულება სავალდებულო არ იყო. შესაბამისად, აღნიშნულ რეკომენდაციას დაწესებულება არ იზიარებს. პერსონალთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში პროგრამის მომზადების საკითხი როდესაც გადაწყდა, დაწესებულებამ ჩაატარა კონკურსი. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარედ არასოდეს ინიშნება უნივერსიტეტის პროფესორი იმიტომ, რომ არ იყოს მიკერძოებული საუნივერსიტეტო საკითხების გადაწყვეტისას. დაწესებულებას ჰქონდა მკაცრად განსაზღვრული კრიტერიუმები, რომლებიც უნდა დაეკმაყოფილებინა ყველა პროფესორს აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად. შესაბამისად, მათი კვალიფიკაცია შეესაბამება სასწავლო კურსების კვალიფიკაციას და პერსონალთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციას უნივერსიტეტი არ იზიარებს. რეკომენდებულია გადაიხედოს უნივერსიტეტის დატვირთვის სტრუქტურა, რათა ჩაითვალოს კვლევისა და სამეცნიერო საქმიანობის საათები, რაც უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის მრავალმხრივი პასუხისმგებლობის თანაბარ აღიარებას და მხარდაჭერას. მარინა გედევანიშვილმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტმა ექსპერტებს განუმარტა, რომ აკადემიური პერსონალი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში არის ახლად არჩეული. მათ არანაირი დატვირთვა არ გააჩნიათ, რადგან პროგრამა აკრედიტებული არ არის და სწავლა არ ხორციელდება. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სამეცნიერო პროდუქტიულობის ფორმა. პროგრამის აკრედიტაციის მიღების შემთხვევაში წლის ბოლოს ამ ფორმას შეავსებს ყველა პროფესორი. აღნიშნული ფორმა დაწესებულებამ ექსპერტებს გაუზიარა, რომელიც მოცემულია მე-14 დანართში. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ განმახორციელებლები უნდა გაეცნონ ხარისხის განვითარების თემებთან დაკავშირებულ სიახლეებს და აქტიურად მიიღონ მონაწილეობა შიდა ხარისხის განვითარებაში, ხოლო მსჯელობისას ამბობენ, რომ ტრენინგებს თუ არ გაივლიან, სასწავლო გეგმის შეჯამების დროს შეიძლება შეცდომები იყოს. უნივერსიტეტისთვის გაუგებარია ასეთი ჩანაწერი. რეკომენდებულია, რომ სკოლებსა თუ სხვა დაწესებულებებში სწავლების გარდა, პროგრამაში გათვალისწინებული იყოს პრაქტიკის გავლის სხვა შესაძლებლობებიც. მარინა გედევანიშვილმა აღნიშნა, რომ აღნიშნული პროგრამის დასრულების შემდეგ მასწავლებლად მუშაობის უფლება არ აქვს პირს თუ ის 60 კრედიტიან მასწავლებლის მომზადების პროგრამას არ გაივლის. ეს საკითხი იცის ყველამ. მაშინ პროგრამის შედეგებში უნდა ეწეროს, რომ სტუდენტს აქვს დამოუკიდებლად მასწავლებლის ფუნქციის

შესრულება, თუმცა მსგავსი ინფორმაცია არსად არ წერია. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ დაწესებულებამ ტურისტულ ორგანიზაციებთან უნდა გააფორმოს მემორანდუმები მაშინ, როდესაც გამოგზავნილ დოკუმენტებში კერძოდ, მე-10 დანართში მოცემულია იმ ტურისტული ორგანიზაციების დასახელებები, რომლებთანაც დაწესებულებას მემორანდუმი აქვს გაფორმებული. გარე კოლეგიური შეფასების არეალის გაფართოებასთან გაცემულ რეკომენდაციასთან მიმართებით აღნიშნა, დაწესებულება ენდობა გარე ექსპერტს. პროგრამაზე უნივერსიტეტს წარმოდგენილი ჰქონდა ორი გარე ექსპერტის შეფასება, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ სავალდებულო და არჩევითი კურსები და მათი კრედიტები სწორად შერჩეულია. მე-14 დანართში მოცემულია პროგრამის ანალოგები. მარინა გედევანიშვილმა იკითხა თუ რის საფუძველზე ამბობს საერთაშორისო ექსპერტი, რომ დაწესებულებას არ აქვს შესწავლილი საერთაშორისო ბაზარი. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებამ შეისწავლა საერთაშორისო უნივერსიტეტები იმ მიზნით, რომ მათგან გამოცდილება მიეღო. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ პროგრამა ქართულენოვანია მაშინ, როდესაც პროგრამაზე სპეციალობით სავალდებულო 11, ხოლო არჩევითი 8 საგანი ინგლისურენოვანია. „პროგრამის სწავლის შედეგების გადახედვა და მათი შესაბამისობაში მოყვანა პროგრამის ძირითად საგნებთან“ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, მარინა გედევანიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პროგრამის სწავლის შედეგების სასწავლო კურსებთან დამაკავშირებელი რუკა“, რომელშიც ვერტიკალურად მოცემულია პროგრამის სწავლის შედეგები, ხოლო ჰორიზონტალურად მითითებულია ის სასწავლო კურსები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ამ სწავლის შედეგების გამომუშავებაში. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში მითითებულია 12 საგანი. ეს ისეთი საგნებია, რომლებიც ემსახურება სწავლის შედეგების განმტკიცებას და გამომუშავებას, ხოლო ყველა დანარჩენი წინაპირობებია ამ თორმეტი საგნის. პრაქტიკას და საბაკალავრო პროექტს წინაპირობად უწერია პირველი მეშვიდე სემესტრის ყველა სავალდებულო სასწავლი კურსი, რომელიც ნიშნავს იმას, რომ დაწესებულება ყველა სავალდებულო კურსს იზიარებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გოჩა თუთბერიძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, არსებული მდგომარეობით გადის თუ არა პროგრამა სწავლის შედეგებზე. გოჩა თუთბერიძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, გარკვეული სწავლის კურსები მხოლოდ გაცნობით დონეზე გადიან სწავლის შედეგებზე. მაგალითად, „ინგლისური ენის ფონეტიკა“ სამივე დონეზე გადის ერთი და იგივე სწავლის შედეგზე. მას აინტერესებდა, როგორია სასწავლო კურსების კავშირი სწავლის შედეგებთან.

ექსპერტმა ნინო ქიმერიძემ განაცხადა, რომ პროგრამა ნაწილობრივ გადის სწავლის შედეგებზე იმიტომ, რომ ბევრი საკომპეტენციო საგანია პროგრამაში. კვლევის მეთოდოლოგიაში სტუდენტისთვის „სოციალური მეცნიერების მეთოდებია“ შეთავაზებული. დასკვნითი ნაშრომი, რომელიც ფაქტობრივად ნიშნავს საბაკალავრო ნაშრომს, სტუდენტს ვერ გაიყვანს და ვერ დაუკავშირებს ჰუმანიტარული მეცნიერებისთვის მნიშვნელოვანი ნაშრომის წარმოდგენას იმიტომ, რომ ჰუმანიტარული მეთოდები დიამეტრულად განსხვავდება სოციალური მეცნიერებების კვლევების მეთოდებისაგან.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, მარინა გედევანიშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულება აუცილებლად მოძებნის ინგლისური ფილოლოგიის სპეციალისტს, რომელიც იქნება ამ პროგრამის თანახელმძღვანელი.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ნანა პარინოსმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან კერძოდ, მე-4 დანართში მოცემულია გაცნობა - განმტკიცების საგნები. მისი თქმით, აკადემიური და მოწვეული პერსონალი ერთობლივად მუშაობდა ამ საკითხებზე. „ინგლისური ენის ფონეტიკის“ სასწავლო კურსი გადის გაცნობაზე, გაღრმავებასა და განმტკიცებაზე. მისი თქმით, აღნიშნული კურსის ხელმძღვანელმა განაცხადა,

რომ „ინგლისური ენის ფონეტიკის“ სასწავლო კურსი უნდა გადიოდეს სამივე დონეზე, თუმცა ლიტერატურის შემთხვევაში განსხვავებული სურათი არის კერძოდ, „რესტავრაციის“ შემდეგი საფეხურია „ვიქტორიანული ეპოქა“. „XXI საუკუნე ლიტერატურაში“ არის კულმინაცია, სადაც შემოდის რთული სტრუქტურები და ნარატივები. „შესავალი ლიტერატურათმცოდნეობაში“ გადის გაცნობაზე, გაღრმავებაზე და განმტკიცებაზე. მისი თქმით, „შესავალი ინგლისურ ფილოლოგიის“ სასწავლო კურსში სტუდენტი სწავლობს ფონეტიკას, სოციოლინგვისტიკას, კულტურის საკითხებს, ენობრივ საკითხებს და ა.შ., თუმცა ყოველივე ამ საკითხის სიღრმისეულად სწავლება არ ხდება.

მარინა გედევანიშვილმა განაცხადა, რომ პროფესორს სრული აკადემიური თავისუფლება აქვს და პასუხისმგებელია იმ სასწავლო კურსზე, რომელსაც ახორციელებს.

ექსპერტმა ნინო ქიმერიძემ აღნიშნა, რომ ლიტერატურა თავისი ეპოქით ქმნის გარკვეულ ამოსავალ პუნქტებს და აჩვენებს ცივილიზაციით განვითარებულ საფეხურს ლიტერატურის ისტორიაში, თუმცა რეალურად ის თავისი ფილოსოფიით არის გარკვეულ მეთოდებზე დამყარებული სასწავლო კურსი. თუ დაწესებულებას ექნებოდა ლიტერატურული ინტერპრეტაციის კურსი, სადაც მოხდება თეორიებისა და კვლევის მეთოდების გადმოტანა, მაშინ ეს იქნებოდა განმტკიცების ნაწილი.

ექსპერტმა რევაზ ტაბატაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს, მათ შორის, ენათმეცნიერების შესავლის კურსის ლექტორს, რომელმაც ვერ დაასაბუთა არგუმენტირებულად რას გულისხმობდა არსებული აქტივობები, რომლებიც პროგრამაში ინტეგრირებულია და რა კავშირი ჰქონდა მათ ერთის მხრივ საგნის შედეგებთან და მეორეს მხრივ პროგრამის შედეგებთან.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ნანა პარინოსმა აღნიშნა, რომ იმ ლიტერატურას, რომელსაც სტუდენტი სწავლობს 1660 წლამდე „ბრიტანულ ლიტერატურაში“, შეუძლებელია მოდერნიზმზე და პოსტმოდერნიზმზე გადასვლის დროს ისევ გაცნობა - გაღრმავების დონე გავიდეს. მისი თქმით, რაც უფრო ხდება XXI საუკუნემდე მიახლოება სრულ კულმინაციაში შედის ლიტერატურა.

ნინო ქიმერიძემ აღნიშნა, რომ განმტკიცების ნაწილი ჩნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სტუდენტი საბაკალავრო ნაშრომს წერს ან გადის რაიმე ანალიზურ სასწავლო კურსს.

საბჭოს წევრმა, ვასილ კიკუტაძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, დასკვნაში მერვე რეკომენდაცია შემდეგი სახით იყო მოცემული: „რეკომენდებულია, კურსების დახარისხება დარგების მიხედვით“. მას აინტერესებდა, რამდენად არის აღნიშნული რეკომენდაცია დაკავშირებული პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევასთან. მეთოთხმეტე რეკომენდაცია დასკვნაში შემდეგი სახით იყო მოცემული: „რეკომენდებულია, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უსდ-ს მიერ დაწესებული ინგლისური ენის ცოდნის მინიმალური ზღვრის გაზრდა.“ მას აინტერესებდა, რა გახდა მოცემული რეკომენდაციის გაცემის საფუძველი. მან აღნიშნა, რომ მეთექვსმეტე რეკომენდაცია დასკვნაში შემდეგი სახით იყო მოცემული: „კურსი „პრაქტიკა“ შეიძლება გახდეს არჩევითი, ან სწავლების მეთოდოლოგიაზე ფოკუსირებული საგნები (სწავლების მეთოდოლოგია (TKT)) შეიძლება, რომ გახდეს სავალდებულო“. მას აინტერესებდა, რას გულისხმობდა აღნიშნული რეკომენდაცია.

ექსპერტმა რევაზ ტაბატაძემ მეთოთხმეტე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს მხოლოდ 25 ქულა აქვს მითითებული პროგრამაზე დაშვების წინაპირობად. არაერთ სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს ე.წ. სპეც. პრაქტიკა იმისათვის, რომ სტუდენტი არ დაიჩაგროს მაღალი ენობრივი კომპეტენციის გამო. მისთვის სავალდებულო არ უნდა იყოს B1 დონიდან ინგლისური ენის დაწყება. ასეთი ტიპის პრობლემა შეიძლება აღმოიფხვრას იმ შემთხვევაში თუ უნივერსიტეტი 25 ქულას გაზრდის 40, 45 ან 50 ქულამდე. ეს რეკომენდაცია გაიცა სტუდენტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე.

მარინა გედევანიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულება ატარებს შესაბამის ტესტირებას და ხდება სტუდენტების დაყოფა ჯგუფებად. სტუდენტს, რომელსაც არ ექნება კომპეტენცია 25 ქულის ფარგლებში, მაშინ კანცლერის გადაწყვეტილებით, ყველა სტუდენტს ექნება უფლება უფასოდ

გაიაროს ინგლისური ენის კურსი. ასეთი პრეცენდენტი ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში არ არსებობს. აღნიშნული რეკომენდაცია შეიძლებოდა რჩევის სახით ყოფილიყო გაცემული პროგრამის მიმართ.

ნინო ქიმერიძემ მერვე რეკომენდაციასთან მიმართებით განაცხადა, რომ „ფილოლოგია“ ვითარდება სამი მიმართულებით: „პრაქტიკული სასწავლო კურსები“, „ლინგვისტიკა“ და „ლიტერატურათმცოდნეობა“. ექსპერტმა სოფიო თოთიბაძემ აღნიშნა, რომ უმჯობესია თანაბარი რაოდენობით იყოს საგნები გადანაწილებული, რათა თანაბრად განვითარდეს სტუდენტი. პრაქტიკასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სტუდენტის მიერ არჩეული პრაქტიკა გულისხმობს სწავლას და სწავლებას სკოლებსა და ბაღებში. სტუდენტები აუცილებელია მომზადებული იყვნენ შესაბამის მეთოდოლოგიაში. სწავლების მეთოდები უნდა იყოს იმ შემთხვევაში სავალდებულო თუ პრაქტიკა გახდება სავალდებულო.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ნანა პარინოსმა აღნიშნა, რომ ექსპერტები გაესაუბრნენ სკოლის, ბაღის და ტურისტული სააგენტოს წარმომადგენლებს. სკოლის, ბაღის და ტურისტული სააგენტოს წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მნიშვნელობა არ აქვს სტუდენტს ექნება თუ არა გავლილი სწავლების მეთოდები.

მისი თქმით, თუ პრაქტიკა სავალდებულო გახდება, მაშინ მეთოდოლოგიაც სავალდებულო უნდა გახდეს, თუმცა შუალედურ და საბოლოო დასკვნაში ექსპერტები წერენ, რომ შეიძლება პრაქტიკა გახდეს სავალდებულო ან მეთოდოლოგია გახდეს სავალდებულო.

სოფიო თოთიბაძემ აღნიშნა, რომ ეს წინააღმდეგობა შეიძლება გამოწვეული ყოფილიყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის არასწორად თარგმნის გამო.

საბჭოს წევრმა, ციური დურულმა კითხვით მიმართა ექსპერტებს მეთექვსმეტე რეკომენდაციასთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა, თუ აღნიშნული პროგრამა სტუდენტს არ ამზადებს სკოლისთვის, მაშინ რა გახდა აღნიშნული რეკომენდაციის გაცემის საფუძველი.

ექსპერტმა რევაზ ტაბატაძემ განაცხადა, რომ ექსპერტები გაესაუბრნენ სკოლიდან, ბაღიდან და ტურისტული სააგენტოდან წარმოდგენილ წარმომადგენლებს, რომლებმაც განაცხადეს, რომ სტუდენტებმა გარკვეული ტიპის სწავლების მეთოდები უნდა იცოდნენ, კერძოდ, როგორ მიუდგნენ მოსწავლეს. შესაბამისად, ზოგადი წარმოდგენა უნდა ჰქონდეთ სტუდენტებს მოსწავლესთან მუშაობის, თუმცა ისინი დამატებით გაატარებენ მათ ტრენინგებს. სასურველია პრაქტიკის ეს ნაწილი გადავიდეს არჩევით ბლოკში, გამოთავისუფლდეს კრედიტი და გამოთავისუფლებული კრედიტი დაემატოს ფილოლოგიური კომპეტენციის მაფორმირებელ საგნებს. გარდა ამისა, უნდა აღდგეს ბალანსი სამ მიმართულებას კერძოდ, პრაქტიკულ, ლინგვისტურ და ლიტერატურას შორის.

მარინა გედევანიშვილმა აღნიშნა, რომ წარმოუდგენელია აღნიშნულ პროგრამაში არ იყოს პრაქტიკა როგორც სავალდებულო კომპონენტი და არა კურსი.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, გაცემული რეკომენდაციები არის თუ არა რელევანტური პროგრამასთან. გარდა ამისა, რა პერიოდი დასჭირდება დაწესებულებას ყველა რეკომენდაციის შესასრულებლად.

ექსპერტმა ნინო ქიმერიძემ განაცხადა, რომ უნივერსიტეტს ყველა რეკომენდაციის შესასრულებლად შესაძლებელია დასჭირდეს ერთი წელი.

საერთაშორისო ექსპერტმა, ნიჰადა დელიგებოვიჩმა რეკომენდაციების პროგრამასთან რელევანტურობასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ რეკომენდაციები არ მეორდება. ზოგიერთი რეკომენდაცია, რომელიც არის მსგავსი სხვა დასკვნებში არსებული რეკომენდაციებისა, არ უნდა იყოს გასაკვირი იმიტომ, რომ ეს არის მსგავსი სწავლის სფეროს პროგრამები. საბჭოს წევრმა, ქეთევან ქუთათელაძემ კითხვით მიმართა პროგრამის ხელმძღვანელს. მისი თქმით, პროგრამის მეჩვიდმეტე მუხლში, სადაც საუბარია უნივერსიტეტის მისიაზე, მითითებულია პროგრამის მიზანი. მეცხრამეტე მუხლში კვლავ საუბარია პროგრამის მიზანზე, რომელიც ჩაშლილია ათ ბულეტად და იმეორებს პროგრამის სწავლის შედეგებს. მას აინტერესებდა, რამ გამოიწვია ორმაგი ფორმულირება პროგრამის სწავლის შედეგებისა.

მარინა გედევანიშვილმა განაცხადა, რომ სწავლის შედეგების ორმაგ ფორმულირებას არ აქვს ადგილი იმიტომ, რომ მიზანი შედეგიც რომ იყოს, პრობლემას არ წარმოადგენს.
საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, რამდენი სფეროსთვის გეგმავს პროგრამა კადრების მომზადებას.
პროგრამის ხელმძღვანელმა, ნანა პარინოსმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტი სტუდენტს ამზადებს სკოლამდელი დაწესებულებებისათვის, ტურიზმის სფეროსთვის, საინფორმაციო და ტურისტული სააგენტოსთვის, ბიბლიოთეკისთვის, კვლევითი ინსტიტუტისთვის და სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებისთვის. მან აღნიშნა, რომ დაწესებულება მზად არის კვლევით მეთოდების სილაბუსში განახორციელოს ცვლილება.
საბჭოს წევრმა, თამარ ტუფინაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, რა იგულისხმებოდა მეორე, მესამე და მეცხრე რეკომენდაციაში.
საერთაშორისო ექსპერტმა, ნიჰადა დელიგებოვიჩმა განაცხადა, რომ ეს რეკომენდაციები სხვა ფორმულირებით იყო ჩამოყალიბებული დასკვნაში, თუმცა დაწესებულების მიერ გაზიარებული არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ რიგი საკითხები ამოღებული იქნა და დაიხვეწა. ეს რეკომენდაციები ემსახურებოდა სტუდენტების საუკეთესო ინტერესებს. ამრიგად, აქცენტი გაკეთდა სწავლის შედეგების მიღწევაზე. საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ განაცხადა, რომ პროგრამის ხელმძღვანელმა დაამთავრა „ამერიკისმცოდნეობის“ პროგრამა, რომელიც ამჟამად შედის 0388.1.2 სწავლის სფეროში და წარმოადგენს სოციალური მეცნიერებების, ჟურნალისტიკისა და ინფორმაციის ინტსერდისციპლინურ პროგრამას. შესაბამისად, ექსპერტებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აკრედიტაციის საბჭოს წევრებისთვის არასწორი ინფორმაცია არ მოუწოდებიათ.
მარინა გედევანიშვილმა აღნიშნა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით უნივერსიტეტი ეთანხმება ექსპერტებს. მისი თქმით, დაწესებულება აუცილებლად მოიწვევს ინგლისური ფილოლოგიის სპეციალისტს, რომელიც პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად შეუდგება აკადემიურ საქმიანობას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:16
დასრულების დრო:17:58

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია და ამოიღო 2.2 კომპონენტთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაცია, ასევე, საბჭომ ამავე კომპონენტთან მიმართებით გასცა ახალი რეკომენდაცია №16, რამაც არ გამოიწვია კომპონენტის შეფასების ცვლილება და შესაბამისად, არც სტანდარტის შეფასების ცვლილება.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ინგლისური ენისა და ლიტერატურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი ორი წლის ვადით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-5 და მე-9 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 - ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 - ე მუხლის

პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას - "ინგლისური ენისა და ლიტერატურა" - მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია ორი წლის ვადით.

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, შრომის ბაზრის საჭიროებებისა და მოთხოვნების და შრომის საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებისა და საჭიროებების ღრმა და ყოვლისმომცველი შეფასება, რათა პროგრამის მიზნები მიღწევადი იყოს.
2. რეკომენდებულია, პროგრამის მიზნების ზედმიწევნით გადახედვა და მათი ჰარმონიზაცია პროგრამის სწავლის შედეგებთან.
3. რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების გადახედვა და მათი შესაბამისობაში მოყვანა პროგრამის ძირითად საგნებთან.
4. რეკომენდებულია, სწავლის შედეგის გადახედვა უნარების ნაწილში, რადგან პროგრამის რეალისტური შედეგი იქნება: „კურსდამთავრებული პრობლემებისა და თემების ფართო სპექტრზე კომუნიკაციას ახდენს მინიმუმ B2 დონეზე, უცხოური ენების ფლობის საერთო ევროპული კომპეტენციების შესაბამისად: სწავლა, სწავლება, შეფასება (CEFR).“
5. რეკომენდირებულია, დაკორექტირდეს სასწავლო კურსებთან სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა, რათა მოხდეს პროგრამის სწავლის შედეგების ზუსტი ანალიზი და განისაზღვროს დარგობრივი კომპეტენციების მიღწევადობა;
6. რეკომენდებულია, ინგლისური ენის ტესტის ჩატარება და ჯგუფებში სტუდენტების გადანაწილება ინგლისური ენის ფლობის დონის შესაბამისად;
7. რეკომენდებულია, სახელწოდება შეეცვალოს კურსებს FCE და Teaching Methods (TKT).
8. რეკომენდებულია, კურსების დახარისხება დარგების მიხედვით.
9. რეკომენდებულია, პროგრამის სასწავლო გეგმის გადახედვა და რიგ სილაბუსებში პროგრამის შინაარსისა და მოსალოდნელი შედეგების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა;
10. რეკომენდებულია, პროგრამისა და სასწავლო კურსების სტრუქტურის გადახედვა მათი წინაპირობების და სემესტრული განლაგების დაზუსტების მიზნით;
11. რეკომენდებულია, კომპეტენციის მაფორმირებელი საგნების გადახედვა და კრედიტების რაოდენობის გაზრდა;
12. რეკომენდებულია, გადაიხედოს სილაბუსი - „კვლევის მეთოდები და პროექტის არქიტექტურა“, შეიცვალოს მისი მიზანი და მასში შეიტანოთ ისეთი სახელმძღვანელოები, რომლებიც უშუალოდ ეხება ლინგვისტიკისა და ლიტერატურის კვლევის მეთოდებს;
13. რეკომენდებულია, კურსებისთვის სათანადო სწავლების მეთოდებისა და შეფასების ფორმების განსაზღვრა, ამ კურსების სპეციფიკის, სირთულისა და ტრანსფერულობის შესაბამისად;
14. რეკომენდებულია, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უსდ-ს მიერ დაწესებული ინგლისური ენის ცოდნის მინიმალური ზღვარის გაზრდა;
15. რეკომენდებულია, რომ სკოლებსა თუ სხვა დაწესებულებებში სწავლების გარდა, პროგრამაში გათვალისწინებული იყოს პრაქტიკის გავლის სხვა შესაძლებლობებიც;
16. რეკომენდირებულია, განისაზღვროს პრაქტიკის ობიექტები, დარგის სპეციფიკის და არსებული კანონმდებლობის შესაბამისად;

17. საგანი „კვლევის მეთოდები და საბაკალავრო პროექტის არქიტექტურა“ შეიძლება დაიყოს ორ ცალკეულ კურსად. გარდა ამისა, კურსი „კვლევის მეთოდები“ უნდა გადაიხედოს და მოერგოს ინგლისური ენისა და ლიტერატურის კვლევის მეთოდოლოგიის საჭიროებებს;
18. რეკომენდებულია, ზოგადად შეფასების სისტემის გადახედვა და სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით სწავლების მეთოდების ადაპტირება;
19. რეკომენდებულია, რეაგირება მოახდინოთ იმ ფაქტზე, რომ სტუდენტებს არასაკმარისი ინფორმაცია მიეწოდებათ აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით; უნივერსიტეტმა უნდა განახორციელოს ყოვლისმომცველი ზომები, ამ მხრივ სტუდენტების ცნობიერების ასამაღლებლად და ეთიკური ქცევის ხელშესაწყობად.
20. რეკომენდებულია, რომ ყველა კურსისთვის შეირჩეს შესაბამისი გამოცდილების მქონე აკადემიური პერსონალი.
21. რეკომენდებულია, დეპარტამენტში თანახელმძღვანელის თანამდებობის გამოყოფა, რომელიც შეავსებს არსებულ ხელმძღვანელს. თანახელმძღვანელს უნდა ჰქონდეს კვალიფიკაცია და გამოცდილება, რომელიც მჭიდროდ შეესაბამება პროგრამის სფეროს.
22. რეკომენდებულია, გადაიხედოს უნივერსიტეტის დატვირთვის სტრუქტურა, რათა ჩაითვალოს კვლევისა და სამეცნიერო საქმიანობის საათები, რაც უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის მრავალმხრივი პასუხისმგებლობის თანაბარ აღიარებას და მხარდაჭერას.
23. რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილე აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და დამსაქმებლებისთვის ვორქშოპების რეგულარულად მომზადება, რათა გაეცნონ ხარისხის განვითარების თემებთან დაკავშირებულ სიახლეებს და აქტიურად მიიღონ მონაწილეობა შიდა ხარისხის განვითარებაში;
24. რეკომენდებულია, გარე კოლეგიური შეფასების არეალის გაფართოება საქართველოს შრომის ბაზარზე ამ საგანმანათლებლო პროგრამის მართებულობის წარმოჩენის და ინტერნაციონალიზაციის ფარგლების და ხარისხის გაფართოების და განვითარების ახალ ეტაპზე გადაყვანის მიზნით.

რჩევა:

1. სასურველია, ინგლისურენოვანი კურსების რაოდენობის გაზრდა, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის ინტერნაციონალიზაციას.
2. სასურველია, დაწესებულებამ მოამზადოს საქართველოს უმაღლეს საგანმანთლებლო დაწესებულებებში მოქმედი მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამების სიღრმისეული შედარებითი ანალიზი, რათა გამოიკვეთოს ამ პროგრამის ადგილი ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში;
3. სასურველია, პროგრამაში უცხოელი პროფესორების ჩართვა.
4. სასურველია, პროგრამის გადახედვა (სასწავლო კურსების სირთულისა და წინაპირობების გათვალისწინებით) და საგნების სემესტრული განაწილების შეცვლა;
5. სასურველია, სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების სეგმენტის სხვა ევროპული ენებით გამდიდრება;
6. სასურველია, კურსების „ინგლისის ისტორია“ და „ბრიტანული და ამერიკული კულტურა“ სტატუსის შეცვლა და მათ არჩევით კურსებად გადაკვალიფიცირება“;
7. სასურველია, დაემატოს დარგობრივი გამოცდილების მქონე აკადემიური პერსონალი, განსაკუთრებით დარგში დოქტორის ხარისხით, რაც მოგვცემს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ადეკვატურ რაოდენობას;
8. სასურველია, დაწესებულებამ, ახალი საგანმანათლებლო პროგრამისთვის, ყოველთვის წარმოადგინოს პოტენციური საბიუჯეტო დეტალურად ჩაშლით, რათა ექსპერტთა ჯგუფმა სრულყოფილი წარმოდგენა იქონიოს საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად გამოთვლილი საბიუჯეტო ნაწილის მონაცემებზე შემდგომში პროგრამის წარმატებულ განხორციელებასთან მიმართებისთ კონკრეტული ხედვები ჩამოყალიბების მიზნით;

9. მონიტორინგის ფარგლებში, პროგრამის ფუნქციონირების დაწყებამდე, სასურველია, გადახედოთ ექსპერტების მიერ გაკეთებულ ყველა რეკომენდაციას, მიუხედავად იმისა, რომ შეთავაზებული სასწავლო პროგრამა ახალია.

3. მესამე საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "არქეოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის საკითხის განხილვა;

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "შავიზღვისპირეთისა და კავკასიის ანტიკური არქეოლოგიის" სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის საკითხის განხილვა;

5. მეხუთე საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ისტორიის" სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა ნინო ჭალაგანიძემ.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭომ მიზანშეწონილად ჩათვალა III, IV და V საკითხების ერთად განხილვა, რადგან სამივე საკითხი წარმოადგენს სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშს და სამივე ანგარიში შეაფასა ექსპერტმა ერთმა ექსპერტმა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებებს, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნებს. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნებს.

მესამე, მეოთხე და მეხუთე საკითხების ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი მერაბ ჭუმბურიძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "არქეოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამა შესაბამისობაშია აკრედიტაციის ხუთივე სტანდარტთან - სრულად შესაბამისობა დადგინდა I, II, III, IV სტანდარტებთან, ხოლო მეტწილად შესაბამისობა V სტანდარტთან მიმართებით. პირველი რეკომენდაცია ეხებოდა კრედიტების რაოდენობის დაზუსტებას. დაწესებულებას შემუშავებული აქვს შესაბამისი დოკუმენტი, სადაც განსაზღვრულია თითო კრედიტი საათების რა რაოდენობას მოიცავს, მაგრამ პროგრამის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ რამდენიმე სასწავლო კურსის კრედიტებისა და საათების რაოდენობა არ შეესაბამებოდა უნივერსიტეტში მიღებულ წესებს. უნივერსიტეტმა მოცემული რეკომენდაცია შეასრულა და სილაბუსებში ჩაასწორა კურსის მოცულობა, რომელიც შეადგენს 5 კრედიტს, ხოლო საათების რაოდენობა განისაზღვრა 125 საათით (60 საკონტაქტო და 65 დამოუკიდებელი მუშაობა). მეორე რეკომენდაცია ეხებოდა აკადემიურ პერსონალში ინოვაციური სწავლების მეთოდების და პრაქტიკების განვითარების ხელშეწყობას. უსდ-მ გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის სწავლების მეთოდების და პრაქტიკის განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით: ჩატარდა 2 ტრენინგი და 1 თემატური სემინარი. მიღებული იქნა დადგენილება საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესის შესახებ. სამეცნიერო საქმიანობს ხელშეწყობის და პროფესიული სრულყოფის მიზნით 2024 წლის ბიუჯეტში მეშვიდე პუნქტში გათვალისწინებულია აკადემიური პერსონალის საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსება 38000 ლარის ოდენობით. შესაბამისად, მეორე რეკომენდაცია უნივერსიტეტმა შეასრულა. მესამე რეკომენდაცია ეხებოდა საბიბლიოთეკო რესურსის უზრუნველყოფას, სასწავლო კურსების სილაბუსებში განახლებული ლიტერატურის შესაბამისად. შვიდი სასწავლო კურსისათვის მოძიებული იქნა 11 ახალი სავალდებულო ლიტერატურა, რასაც ადასტურებს ბსუ-ს ბიბლიოთეკის დირექტორის 2024 წლის 15 მარტის მოხსენებითი ბარათის დანართი (ისტორია-არქეოლოგიის კლასტერის პროგრამების ლიტერატურის სია). 2 ახალი სახელმძღვანელო დამატებულია „არქეოლოგია და თანამედროვე ტექნოლოგიების“ სილაბუსში, ხოლო 1 ახალი წიგნი ,,საქართველოს ისტორიული ხანის არქეოლოგია - 1 (კლასიკური და ელინისტური ხანა)“ სილაბუსში. დანარჩენი ლიტერატურა უნდა აისახოს მითითებული სასწავლო კურსების სილაბუსებში. შესაბამისად, მესამე რეკომენდაცია მეტწილად შესრულებულია. მერაბ ჭუმბურიძემ აღნიშნა, რომ მეხუთე სტანდარტში მოცემული იყო კლასტერული რეკომენდაციები. ვიზიტის დროს გაირკვა, რომ ფაკულტეტის და უნივერსიტეტის სამსახურს შედარებით ნაკლები მონაწილეობა ჰქონდა მიღებული პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების საკითხებში. შესაბამისად, კლასტერული რეკომენდაციების გაცემა გამოიწვია ამ ფაქტმა. დაწესებულებამ ორივე კლასტერული რეკომენდაცია გაითვალისწინა. მეოთხე კლასტერულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უსდ-ს აქვს პროგრამის შემუშავების, შეფასების და დამტკიცების გამართული სისტემა, რომელიც ასახულია ნორმატიულ დოკუმენტებში. აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულებაზე მუშაობის პროცესში აქტიურად ჩაერთო ხარისხის სამსახური. მისი უშუალო მონაწილეობით შეიქმნა „ისტორია-არქეოლოგიის“ კლასტერის თვითშეფასების ჯგუფი და არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი, რომლებმაც ხარისხის სამსახურის ჩართულობით დაიწყეს მუშაობა რეკომენდაციების შესრულებაზე. ბოლოს სამუშაო ჯგუფმა შეაჯამა ჩატარებული სამუშაოების შედეგები, რის შემდეგაც რეკომენდაციების შესრულების საკითხი განიხილა და პროგრამის ცვლილებები დაამტკიცა ფაკულტეტის საბჭომ. მეხუთე კლასტერულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ შეიქმნა „ისტორია-არქეოლოგიის“ კლასტერის და არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი, რომელმაც შეიმუშავა სამოქმედო გეგმა და მისი ფორმა. განსაზღვრა აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების ვადები და პასუხისმგებელი პირები.

სამუშაო ჯგუფმა ასევე შეამოწმა სასწავლო კურსების სილაბუსები და იმსჯელა სასწავლო კურსებით განსაზღვრული კრედიტების რაოდენობაზე, სტუდენტების საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაოსათვის გამოყოფილი საათების თანაფარდობის შესახებ, შეფასების მექანიზმების შესაბამისობაზე. სამუშაო პროცესში აქტიურად იყო ჩართული აკადემიური პერსონალი, დამსაქმებელი და ხარისხის სამსახური. შესაბამისად, შესრულებული იქნა რეკომენდაცია, რომელიც ითვალისწინებდა ხარისხის სამსახურის აქტიურ თანამშრომლობას აკადემიურ პერსონალთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან პროგრამის შემუშავებისა და ცვლილების პროცესში. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ თავისი გადაწყვეტილებით აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის საფუძველზე „არქეოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ გასცა 1 რჩევა, რომელიც ეხებოდა შუალედური და დასკვნითი გამოცდების შეფასების დივერსიფიკაციას. უსდ-მ არ წარმოადგინა ინფორმაცია რჩევის გათვალისწინების შესახებ, რაც არ იყო სავალდებულო. შესაბამისად, აქცენტი გაკეთებული იქნა რეკომენდაციების შესრულებაზე. "შავიზღვისპირეთისა და კავკასიის ანტიკური არქეოლოგიის" სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ პროგრამა შესაბამისობაშია აკრედიტაციის ხუთივე სტანდარტთან - სრულად შესაბამისობა დადგინდა I, II, III და IV სტანდარტებთან, ხოლო მეტწილად შესაბამისობა V სტანდარტთან მიმართებით. მისი თქმით, პირველი რეკომენდაცია მსგავსი იყო „არქეოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამის მიმართ გაცემული რეკომენდაციისა. მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ოთხი სასწავლო კურსისათვის მოძიებული იქნა 14 ახალი სავალდებულო ლიტერატურა. დასახელებული სასწავლო კურსების სილაბუსების შესწავლისას გაირკვა, რომ ახალი ლიტერატურა დამატებულია ოთხივე სასწავლო კურსის სილაბუსებში. მხოლოდ ერთი სასწავლო კურსის სილაბუსში „საქართველო და ანტიკური სამყარო“ გასასწორებელია ტექნიკური ხარვეზი და სასწავლო გეგმის თანახმად უნდა ჩაიწეროს „სამხრეთი-დასავლეთი საქართველო და ანტიკური სამყარო“. შესაბამისად, მეორე რეკომენდაცია შესრულდა. მესამე და მეოთხე რეკომენდაცია მსგავსი იყო „არქეოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამის მიმართ გაცემული რეკომენდაციისა. მეხუთე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უსდ-ს გააჩნია შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტები, რომლებიც იძლევა საშუალებას შეისწავლოს სტუდენტთა კმაყოფილება სასწავლო პროცესის ორგანიზების, სასწავლო კურსებით, შუალედური და დასკვნითი გამოცდების ორგანიზების ხარისხით. ასევე გაანალიზოს სტუდენტთა აკადემიური მოსწრება, სტუდენტთა სერვისებით კმაყოფილების საკითხი, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმება, სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მიღწევა, სასწავლო მასალების ხელმისაწვდომობა, სასწავლო კურსების დატვირთვის ადეკვატურობა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. საანალიზოდ ასევე წარმოდგენილი იქნა სტუდენტური პორტალის გამოკითხვის შედეგები. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 159 სტუდენტმა, მათ შორის არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამიდან. კარგი იქნებოდა საანალიზოდ წარმოდგენილი ყოფილიყო მოპოვებული მონაცემების შინაარსობრივი ანალიზი კონკრეტულად „შავიზღვისპირეთისა და კავკასიის ანტიკური არქეოლოგიის“ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა გამოკითხვების შესახებ. უსდ-მ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ამ მიმართულებით. შესაბამისად, მეხუთე რეკომენდაცია უნივერსიტეტმა მეტწილად შეასრულა. მისი თქმით, აღნიშნული პროგრამის მიმართ არ გაცემულა რჩევები.

"ისტორიის" სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამა შესაბამისობაშია აკრედიტაციის ხუთივე სტანდარტთან - სრულად შესაბამისობა დადგინდა II, III და IV სტანდარტებთან, ხოლო მეტწილად შესაბამისობა I და V სტანდარტებთან მიმართებით. პირველი რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ პროგრამის მეორე მოდულის - მსოფლიო ისტორია (ევროპა-ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია (XVI-XXI სს.) - ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კურსების ჩამონათვალიდან ამოღებული იქნა ორი არჩევითი სასწავლო კურსი "ევროკავშირის ისტორიის პრობლემები" და "ევროპის ქვეყნებსა და საქართველოს შორის ურთიერთობა (XVII-XX სს.)". შესაბამისად, პირველი

რეკომენდაცია შესრულებულად ჩაითვალა. მეორე რეკომენდაციასთან მიმართებით აღნიშნა, რომ უსდ-მ ფართო მუშაობა წარმართა სასწავლო მასალების განსაახლებლად. 8 სასწავლო კურსის ანალიზმა აჩვენა, რომ მათ სილაბუსებს დაემატა 41 სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა. შესაბამისად, მეორე რეკომენდაცია შესრულებულად ჩაითვალა. მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე რეკომენდაციები მსგავსი იყო „არქეოლოგიისა“ საბაკალავრო და „შავიზღვისპირეთისა და კავკასიის ანტიკური არქეოლოგიის“ სამაგისტრო პროგრამების მიმართ გაცემული რეკომენდაციებისა. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ თავისი გადაწყვეტილებით აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის საფუძველზე „ისტორიის “ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ გასცა 2 რჩევა. უნივერსიტეტმა პირველი რჩევა გაითვალისწინა. მეორე რჩევასთან მიმართებით უსდ-ს პოზიცია არ გამოუხატავს. მერაბ ჭუმბურიძის თქმით, რჩევების გათვალისწინება სავალდებულო არ არის, თუმცა რადგანაც უსდ-მ პირველი რჩევა გაითვალისწინა, მიზანშეწონილი იქნებოდა მეორე რჩევასთან დაკავშირებითაც გამოეხატა საკუთარი მოსაზრება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი, ვლადიმერ ღლონტი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებები სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამების აკრედიტაციის შესახებ უნივერსიტეტის, ფაკულტეტის ადმინისტრაციისა და აკადემიური პერსონალის მიერ სრულად იქნა გაზიარებული.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:29
დასრულების დრო: 18:38
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "არქეოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის საფუძველზე, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "არქეოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "შავიზღვისპირეთისა და კავკასიის ანტიკური არქეოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღები საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის საფუძველზე, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "შავიზღვისპირეთისა და კავკასიის ანტიკური არქეოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ისტორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის საფუძველზე, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ისტორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 18:39 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
მდივანი
ტეფნაძე დავით

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლომინაძე თამარ